

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

ქახაბერ კაციტაძე

გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში

დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2001

ლექცია I.

გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაციის ცნებებისათვის

გეოპოლიტიკის ცნება. გეოპოლიტიკა როგორც მოძღვრება და კვლევის მეთოდი. გეოპოლიტიკა და პოლიტიკური გეოგრაფია

„გეოპოლიტიკა“– პოსტსაბჭოურ სივრცეში ძნელად თუ მოიძებნება ამაზე უფრო პოპულარული სიტყვა. ამ სფეროზე საუბრობენ, როგორც პროფესიონალები, ისე დილეტანტები. რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში „გეოპოლიტიკური“ მიდგომა წარმატებით ჩაენაცვლა მოძველებულ მარქსისტულ იდეოლოგიას. გეოპოლიტიკა, ამ სიტყვის გარკვეული გაგებით, თავად იქცევა იდეოლოგიად. დუგინის მოსაზრებები იმის შესახებ, რომ გეოპოლიტიკოსი აპრიორი ანგაჟირებულია „ევრაზიელობით“ თუ „ატლანტისტობით“, ძალიან წააგავს ლენინის თეზისს ფილოსოფიის კლასობრივი ბუნების შესახებ, რომელიც, პროლეტარიატის ბელადის აზრით, სულაც არ გამორიცხავს ამ მეცნიერების ობიექტურობას. ლექციების წარმოდგენილი კურსისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ამ ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტება. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი ჰანს მორგენთაუ გეოპოლიტიკას ახასიათებს, როგორც „ფსევდომეცნიერებას“. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს მსგავსი შეხედულება გავიზიაროთ, რადგან ის გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია, რომელზეც ვისაუბრებთ, სრულიად სხვას გულისხმობს, ვიდრე ის, რასაც კლასიკურ გეოპოლიტიკას უწოდებენ.

კლასიკური გეოპოლიტიკა სუბსტანტივისტური მოძღვრებაა, რომელიც ამტკიცებს, რომ გეოგრაფიული მდებარეობა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრავს პოლიტიკას. რომ არსებობენ „მარადიული“ გეოგრაფიული კატეგორიები, რომელთაგან გამომდინარე სახელმწიფო შეიძლება მოიქცეს „მხოლოდ ასე“ და არა სხვაგვარად. კლასიკური გეოპოლიტიკისათვის სივრცე აბსოლუტურია, ყოველივე სხვა კი – შეფარდებითი. იმის გამო, რომ არსებობს ევრაზიული „ჰართლენდი“ ანუ გული, მის მაკონტროლებელ პოლიტიკურ ძალას თითქოს მხოლოდ ერთაირი მოქმედება შეუძლია და არა სხვაგვარი. შესაბამისად, ამ ძალასთან დაპირისპირებული ქცევის სტერეოტიპებიც იდენტურია.

სახელმწიფოები, რომლებიც არსობრივად თუ სუბსტანციურად სახმელეთო ანუ კონტინენტურები არიან, არ შეიძლება არ შევიდნენ კონფლიქტში „საზღვაო“ ცივილიზაციებთან. ამ შემთხვევაში არსებითი არ არის რატომ მოჰპარა ეს პრიმიტული თეორია რუსეთის დღევანდელ ელიტის ნაწილმა გერმანელებს. ასევე არ არის მნიშვნელოვანი ის, თუ როგორ მოახერხა „სახმელეთო“ რომმა „საზღვაო“ კართაგენის დამარცხება (ისე ჰანიბალის პატრონებს რატომ ჩამოერთვათ სახმელეთოების უფლება, ვერავინ ხსნის), მაშინ, როცა საზღვაო ინგლისი იოლად ამარცხებდა კონტინენტურ საფრანგეთსა და ესპანეთს, ხოლო „საზღვაო“ ამერიკამ დიდი მარცხი აგემა კონტინენტურ კოლოსს – სსრ კავშირს. ალარაფერს ვიტყვით „კონტინენტური“ გერმანიის ორ მარცხზე ორ მსოფლიო ომში.

ალსანიშნავია, რომ ჩვენი ამოცანის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა გარკვეულ ლოგიკურ მიდგომას მოითხოვს, რაც სხვა ცნებების შემოტანასთან ერთად, საბოლოო ჯამში, ე. წ. ზოგადთეორიული პრინციპების განმარტებასთან იქნება დაკავშირებული. პირველ ყოვლისა, აუცილებელია ნათლად გაიმიჯნოს გეოპოლიტიკური დოქტრინის ორი კატეგორია – გლობალური და რეგიონული. გეოპოლიტიკური მიდგომის თანახმად, რუსეთს, როგორიც არ უნდა იყოს გლობალური ვითარება, თავისი მდებარეობის გამო თითქოს ყოველთვის უნდა ჰქონდეს სასიცოცხლო და სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, ანუ რაღაცნაირად დაუქვემდებაროს ეს რეგიონი თავის გავლენას. თუ დასაწყისისთვის მეთოდოლოგიური ამოცანის „გაიოლებასა“ და ლაკონიური მითითებით შემოფარგვლას განვიზრახავთ, მაშინ ანალოგიის მეთოდზე დაყრდნობით, ერთი მხრივ, გლობალური პოლიტიკური რეალობისა და რეგიონის, ხოლო, მეორე მხრივ, ორგანიზმისა და მისი ნაწილების ერთმანეთთან შედარებას შეგვიძლია მივმართოთ. ასეთ შემთხვევაში ორგანიზმის ანალოგიურ ფენომენად, ცხადია, გლობალური პოლიტიკური რეალობა (იგივე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა) მოგვევლინება, ხოლო ნაწილებისა კი – რეგიონები. მათ შორის მიმართებაც – ორგანიზმისა და მისი ორგანოების მიმართების ანალოგიურად – სისტემისა და ელემენტის მიმართების სახეს „მიიღებს“. კერძოდ, რეგიონი ისეთ პოლიტიკურ ერთეულად (ელემენტად) წარმოგვიდგება, რომელიც გლობალური პოლიტიკური რეალობის ანუ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ნაწილია. რა თქმა უნდა, ასეთი დახასიათება არ არის უსარგებლო. მეტიც, მას გარკვეული „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ გააჩნია. მაგრამ თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, იგი მაინც

ცდება სამიზნეს, რადგან რეგიონი არა მხოლოდ ჭარბი ბიოლოგიზმით ხასიათდება, არამედ, რაც მთავარია, საერთოდ ანალოგიური შემეცნებისათვის ნიშანდობლივ პრინციპულ ნაკლსაც ატარებს, რის გამოც მას, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, მხოლოდ „ხატოვანი პროპედევტიკის“ ფუნქცია თუ შეიძლება დაკისრებოდა (მხედველობაშია ანალოგიური შემეცნების ის თავისებურება, რომ იგი „ცალმხრივი“ ანუ ისეთი შემეცნებაა, რომელიც მხოლოდ მსგავსებაზეა ორიენტირებული და განსხვავებას უგულებელყოფს). ამასთან, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ისეთი თემები როგორიცაა გეოპოლიტიკა (გეოპოლიტიკური მიდგომა), ძალთა ბალანსის თეორია და სხვა, იმ ზოგადკონცეფციური კონტექსტების თემატიზირებას გულისხმობს, რომელშიც ფუნქციონირებენ განსამარტავი ცნებები. აღნიშნულის შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ნებისმიერი ცნება მთელი მისი შინაარსობრივი სისავსითა და კონკრეტულობით რეალურად მხოლოდ ამა თუ იმ ზოგადთეორიულ კონტექსტში ფუნქციონირებს და, აქედან გამომდინარე, ადეკვატური განმარტებისათვის ამ უკანასკნელის ექსპლიცირებას საჭიროებს. ამის გათვალისწინებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ გარემოების გამოც, რომ კონტექსტზე „მიბმული“ ცნება მთლიანად (ან ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად) ტრანსფორმირდება ამ კონტექსტის შეცვლის შემთხვევაში ან თუ აქცენტს იმავე კანონზომიერების სხვაგვარ გამოვლინებაზე გადავიტანთ, პოლიკონტექსტურობისდა კვალად თეორიულად საგულისხმო ამპლიტუდის პოლისემანტიკურობას ავლენს, რაც ცალსახად იჩენს თავს ჩვენთვის საინტერესო ცნებების შემთხვევაშიც. კერძოდ, იმ მხრივ, რომ არსებობს სხვადასხვა კონტექსტი, რომლებთან მიმართებაშიც ისინი აღნიშნული პოლისემანტიკურობით ხასიათდებიან და თვალსაჩინო არაერთმნიშვნელობით არიან აღბეჭდილნი. აქედან გამომდინარე, კვლევის სწორად ორიენტირებისა და ორგანიზების მიზნით, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება, ჯერ ერთი, სხვადასხვა კონტექსტის ადეკვატურ იდენტიფიცირებას და, მეორე მხრივ, მათ შორის ყველაზე ოპტიმალურის შერჩევას, რაც კვლევისათვის ოპტიმალური კონცეფტუალური „ჩარჩოს“ დადგენის ტოლფასია.

აღნიშნულის ფონზე, ალბათ, საჭიროა თავდაპირველად იმ ამბივალენტურ დამოკიდებულებას გავუსვათ ხაზი, რომელიც ჩვენ მიერ განსამარტავ ცნებებთან მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული კონტექსტის მიმართ გაგვაჩნია. მხედველობაში გვაქვს

ე. წ. გეოპოლიტიკური კონტექსტი, რომელიც წინამდებარე გამოკვლევის შემთხვევაშიც ინარჩუნებს აქტუალურობას, მაგრამ – და ეს საზგასმით უნდა აღინიშნოს – სპეციფიკური აზრით, უკანასკნელი გარემოება სწორედ ზემოთ მითითებული ამბივალენტური დამოკიდებულებით უნდა აიხსნას. კერძოდ, იმით, რომ ჩვენ უარვყოფთ არა ნებისმიერი სახის გეოპოლიტიკური მიდგომის თეორიულ ღირებულებას, არამედ აღნიშნული ტრადიციის მხოლოდ გარკვეულ სპექტრისას. აქედან გამომდინარე კი, თავადაც ვეყრდნობით მის გარკვეულ ვერსიას. თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქვემოთ შეთავაზებული ანალიზის აღქმისას რეციპიენტის ცნობიერებაში ძალაუნებურად „იჭუშავებს“ აღნიშნული სპექტრის გარკვეული სეგმენტი, რომელიც შეიძლება დაშორდეს და არ შეესაბამებოდეს ჩვენთვის ამოსავალ კონტექსტს, მაშინ ცხადი გახდება გეოპოლიტიკური მიდგომის ჩვენი ვერსიის მკაფიო იდენტიფიცირების აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, საერთოდ, მთელი ტრადიციის მიზანმიმართულ განხილვასთან იქნება დაკავშირებული. სიზუსტისათვის აქვე შეიძლება კიდევ ერთხელ მივუთითოთ, რომ ჯერ ერთი, გეოპოლიტიკური კონტექსტი არ არის ერთადერთი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ცნებებთან მიმართებაში ფუნქციონირებს და, გარდა ამისა, თავადაც არაა ჰომოგენური, არამედ საკმაოდ ჭრელი და შინაგანად მრავალფეროვანი ინტელექტუალური რეალობაა. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია, რათა მკითხველს სწორი წარმოდგენა შეექმნას ჩვენს მიზანდასახულებაზე. ე. ი. იმაზე, თუ რისი გაკეთება შეიძლება განსაზღვრული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით. და თუმცა გაუმართლებელი გვეჩვენება მოვლენებისათვის წინ გასწრება, ამასთან დაკავშირებით, ერთგვარი წინასწარი განმარტების სტატუსით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ლოკალური ანალიზის მიზანია თემატიზიებული პრობლემის კვლევისათვის ოპტიმალური ზოგადთეორიული კონტექსტის არგუმენტირებული დადგენა, რაც დაკავშირებული იქნება გეოპოლიტიკური ტრადიციის რაციონალური ასპექტების გამორჩევასა და გეოპოლიტიკური მიდგომის ისეთი თეორიული ვერსიის დესკრიფციასთან, რომელსაც ნაკლები ექნება საერთო, ასე ვთქვათ, წმინდა გეოპოლიტიკურ გააზრებებთან და ინტეგრირებადი იქნება სხვა კონტექსტის სივრცეში.

ტერმინს „გეოპოლიტიკა“ სახელმწიფოს თეორიის შვედ სპეციალისტს რუდოლფ ჩელენს უნდა ვუმადლოდეთ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ იგი არ შეიძლება გეოპოლიტიკური მიდგომის სულისჩამდგმელად ჩაითვალოს. უკანასკნელს სათავეებთან, გარკვეული

აზრით, ისეთი ცნობილი სახელები მოიაზრება, როგორიცაა: ჰეროდოტე, ჰიპოკრატე, არისტოტელე, პლატონი, პოლიბიუსი, ციცერონი და სტრაბონი. და მაინც, ანტიკური აზროვნება შორს იდგა გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ფაქტორთა ურთიერთმიმართების ისეთი სისტემური განხილვისა და აქცენტირებისაგან, რაც „წმინდა“ გეოპოლიტიკური მიდგომის აუცილებელი ატრიბუტია. ამ მხრივ უფრო მეტი მიზანდასახულობა შემდეგი ეპოქების ნიშანია. სწორედ ამით გამოირჩევიან ჟან ბოდენი და შარლ ლუი მონტესკიე, რომლებმაც ახალ დროში ერთ-ერთმა პირველებმა მოჰკიდეს ხელი აღნიშნული მიმართების დესკრიფციას. ასეთი მოაზროვნეების რიცხვში შეგვიძლია მოვიხსენიოთ: ი. გ. ჰერდერი, ი. კანტი, გ. ვ. ფრ. ჰეგელი, ბოკლი, ო. კონტი, კუზენი, რენანი, ფ. ლე პლე, ა. დე ტურვილი და დემოლენი. არაფერს ვამბობთ ალექსანდრ ფონ ჰუმბოლტსა და კარლ რიტერზე (რომელმაც გლობალური სივრცის იერარქიულ-რეგიონული დაყოფა შემოიტანა).

არანაკლებ შთამბეჭდავია — და არა მხოლოდ ექსტენსიური თვალსაზრისით — საკუთრივ გეოპოლიტიკოსებისგან შედგენილი ჩამონათვალიც: ჰელორდ მაკინდერი, ფრიდრიხ რატცელი, კარლ ჰაუსჰოფერი, კარლ შმიტი, ა. თ. მეჰენი, დ. უ. მაინინგი, უ. კირკი, ს. ბ. კოენი, კ. სანტორო, ჟან პერველუსკო, ალენ დე ბენუა, ჟან ტირიარი, იორდის ფონ ლოხაუზენი, სპაიკმენი, ფერგრივი, კოლინ გრეი, რობერტ სტოიკერსი, პეტრე სავიცკი, ლ. პ. კარსავინი, ევფრონი, ი. ა. ილინი, გუმილიოვი, დუგინი და სხვ. ამ არასრული სიის ფონზეც აშკარაა, რომ ცალკეული კონცეფციის განხილვა, კერძოდ, გეოპოლიტიკური მიდგომის ძირითადი ელემენტების გამოვლენის მიზნით — საკმაოდ მრავლისმომცველი საქმიანობაა, რომელსაც წინამდებარე გამოკვლევასთან ძალიან ცოტა აქვს საერთო, და, ამ მხრივ, არც სკოლებზე (გერმანული, ფრანგული, ამერიკული, რუსული) ორიენტირება დარჩებოდა თემატიზებულ პრობლემაზე ორიენტირებული კვლევის ჩარჩოებში. აქედან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ აქცენტს გეოპოლიტიკური აზროვნების უნივერსალურ მახასიათებლებზე გადავიტანთ, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს საილუსტრაციო ნიმუშების მოშველიების შესაძლებლობასაც.

მაშასადამე, დასადგენია თუ რა არის გეოპოლიტიკური უნივერსალიები, ე. ი. როგორია გეოპოლიტიკურ დოქტრინათა ზოგადშინაარსობრივი ელემენტები? ამ კითხვაზე პასუხს შემდეგი პუნქტების სახით წარმოვადგენთ:

— ადამიანი Homo-spetio-ა, ე. ი. არსება, რომლისთვისაც მისი

არსებობის წესის თვალსაზრისით სივრცითი კონტექსტი არათუ მეორეხარისხოვან, არამედ ფუნდამენტურ კონტექსტად გვევლინება (ამასთან დაკავშირებით, შეგვიძლია გავიხსენოთ ფ. რატცელის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტერიტორია უბრალოდ სახელმწიფოს ძალის ერთ-ერთი ატრიბუტი კი არ არის, არამედ თავად პოლიტიკური ძალაა, ან კიდევ კ. შმიტის Grossraum-ი და კ. ჰაუსჰოერის Lebensraum-ი); ისტორიული სივრცე ხასიათდება არა მხოლოდ გეომეტრიული ან ბუნებრივ-გეოგრაფიული თვისებებითა და კანონზომიერებებით, არამედ, აგრეთვე „ადამიანური“ ანუ ანთროპოლოგიური პარამეტრებითაც, რომლებიც მისი ისტორიულ-ფუნქციონალური განსაზღვრულობებია (ამგვარი მიდგომის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ რ. სტოიკერსის გეოისტორიის ცნება ან დ. მაინინგის აზრი იმის შესახებ, რომ გეოპოლიტიკამ „მოსახლეობისა და სახელმწიფოს ფუნქციონალური ორიენტაციები და არა მხოლოდ ტერიტორიის ხმელეთსა და ზღვასთან წმინდა გეოგრაფიული მიმართებები უნდა გაითვალისწინოს“);

– გლობალური ისტორიული სივრცე ჰეტეროგენული ბუნების სტრუქტურაა და განსხვავებული ისტორიულ-ფუნქციონალური პარამეტრების მქონე სივრცითი ერთეულების ერთიანობას წარმოადგენს, რომლებიც, როგორც სხვადასხვა აქტორის დისლოკაციისა და აქტიურობის სივრცეები ერთმანეთთან გარკვეულ გეოპოლიტიკურ მიმართებაში მოიაზრება;

– უზოგადესი კლასიფიკაციით გლობალური ისტორიული სივრცე მეგა-სივრცითი-ერთეულებისაგან შემდგარი ტოტალური მთელია, რომელშიც პოლარული ისტორიულ-ფუნქციონალური განსაზღვრულობის მქონე მეგა-ერთეულების გვერდით მარგინალური სივრცითი ერთეულიც გამოიყოფა (აღნიშნული გეოპოლიტიკური კონფიგურაცია სხვადასხვა დოქტრინაში სხვადასხვა შინაარსობრივ და ტერმინოლოგიურ გამოხატულებას პოულობს. მაგალითად, მაკინდერი გამოყოფს „ღერძულ რეგიონს“ (Pivot area), რომელსაც მოგვიანებით ფერგრივმა „Heartland-ი“ უწოდა, – შიდა (Inner crescent) და გარე სარტყელს (Outer crescent), ხოლო სოლ კოენი მას უკავშირებს საზღვაო და ევრაზიულ გეოსტრატეგიულ არეალებსა და გამყოფ სარტყელს, რომელიც მათ შორის არსებული სამეტოქეო სივრცეა);

– აღნიშნული სივრცითი არეალები, თავის მხრივ, უფრო მცირე სივრცითი ერთეულებისაგან შედგება და ა. შ. (ასე მაგალითად, ზემოთ აღნიშნული ს. კოენის მიხედვით საზღვაო არეალი მოიცავს ინგლისამერიკასა და კარიბის აუზს, საზღვაო ევროპასა და მალრიბს, სამხრეთ ამერიკასა და ცენტრალურ აფრიკას, აგრეთვე კონტინენტისაგან მოშორე-

ბულ აზიას, ხოლო ევრაზიული კონტინენტური არეალი – რუსეთის ჰართლენდსა და აღმოსავლეთ აზიას. უფრო ზოგადი კლასიფიკაციის მიხედვით, ე. წ. „დიდი სივრცეები“ შედგება რეგიონული და „Etat-Nation“-ისეული სივრცეებისაგან); ისტორიული სივრცე, როგორც აქტორთა „დისლოკაციისა“და აქტიურობის ასპარეზი, იყოფა ავრეთვე, „საკუთარ“ და „სხვის“ სივრცით ერთეულებად (ამასთან, დაყოფა ფუნქციონირებს არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ გლობალურ დონეზეც);

– „საკუთარი“ და „სხვისი“ სივრცითი პარამეტრები ერთ-ერთი ფუნდამენტური (გეოპოლიტიკური) იდენტიფიკატორებია, რომლებიც აქტორთა ისტორიულ დისპოზიციასა და აქტიურობას განსაზღვრავს;

– არსებობს გლობალური და ლოკალური გეოპოლიტიკური იდენტიფიკატორები, რის საფუძველზეც აქტორთა სხვადასხვა „დონის“ ჯგუფი გამოიყოფა (მაგალითად, გლობალურ დონეზე – თალასოკრატიულ და თელუროკრატიულ აქტორთა ჯგუფები, ზღვისა და კონტინენტის ხალხები, საზღვაო ცივილიზაცია და კონტინენტური ცივილიზაცია. ავრეთვე ე. წ. მარგინალური ჯგუფი მისთვის დამახასიათებელი თალასოკრატიული და თელუროკრატიული „მიდრეკილებებით“);

– როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ დონეზე გამოყოფილი ოპოზიციური ჯგუფები და მათში შემავალი აქტორები, რომლებიც შესაბამისი სივრცითი პარამეტრებით ხასიათდებიან და ერთმანეთთან გარკვეულ გეოპოლიტიკურ მიმართებაში იმყოფებიან (კერძოდ, პოლარული ურთიერთმიმართებით ხასიათდებიან საზღვაო და კონტინენტური ცივილიზაცია, ზღვისა და კონტინენტის ხალხები, „ბეჰემოთი“ და „ლევიათანი“, თალასოკრატიული აქტორები და თელუროკრატიული აქტორები. რაც შეეხება არაპოლარულ მიმართებას, ივი, როგორც წესი, ერთნაირი გეოპოლიტიკური განსაზღვრების მქონე აქტორთა „პრეროგატივაა“);

– მსოფლიო ისტორია, უფრო სწორად, მსოფლიო საზოგადოების პოლიტიკური ისტორია გეოპოლიტიკური ძალებისა და მათ შორის მიმართებების ისტორიაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი გეოპოლიტიკური რეალობის ცვალებადობის ისეთი პროცესია, რომლის ამპლიტუდაც გეოპოლიტიკური ბალანსიდან ამა თუ იმ ძალის გეოპოლიტიკურ ჰეგემონობამდე მერყეობს (ამასთან, როგორც ესა თუ ის გეოპოლიტიკოსი მიიჩნევს, აღნიშნული „დუალიზმი“ ხშირად ლოკალიზებულია და სხვადასხვა ზონაში სხვადასხვა ინტენსივობა და ფორმები ახასიათებს. მის კონკრეტულ ისტორიულ გამოხატულებებს წარმოადგენდა დაპირისპირებები ათენსა და სპარტას, კართაგენსა და რომს, აგრეთვე, ერთი მხრივ, ინგლისსა და, მეორე მხრივ,

ავსტრია-უნგრეთის იმპერიას, გერმანიასა და რუსეთს შორის. რომ არაფერი ვთქვათ „ცივ ომზე“ ნატო-სა და ვარშავის ბლოკების სახით არსებული პოლარული ცენტრებით).

წარმოდგენილი პუნქტები, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, გეოპოლიტიკური მიდგომისათვის დამახასიათებელი ზოგადშინაარსობრივი ელემენტების ჩამონათვალია. აბსტრაქტული ბუნების გამო ისინი, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავენ ამა თუ იმ დოქტრინის კონკრეტულ შინაარსს. მაგრამ სამაგიეროდ ზუსტ წარმოდგენას გვიქმნიან საერთოდ გეოპოლიტიკური მიდგომისათვის ნიშანდობლივ უნივერსალურ მახასიათებლებზე, რაც საკმარისია მისი, ე. ი. აღნიშნული მიდგომის სპეციფიკაში გასარკვევად და შესაფასებლად. მაინც რა შეიძლება ითქვას უფრო კონკრეტულად ამასთან დაკავშირებით? ალბათ, საჭიროა თავიდანვე გაესვას ხაზი საერთოდ გეოპოლიტიკური მიდგომისათვის აუცილებელ ელემენტს — რედუქციონიზმს, რომელიც გეოგრაფიული დეტერმინანტის გააბსოლუტურებაში მდგომარეობს. აქვე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ცალკეულ დოქტრინებში ფიქსირდება რადიკალიზმის „შერბილებისა“ და გეოგრაფიულ დეტერმინანტთან ზოგიერთი სხვა დეტერმინანტის „გათანასწორების“ ცდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, ვერც ამ შემთხვევებში ვიღებთ პრინციპულად განსხვავებულ შედეგს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერც ისინი სცდებიან ზემოთ მითითებული რედუქციონიზმის საზღვრებს. ამ ფონზე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენი პოზიცია კიდევ უფრო მრავლისმომცველ რევიზიას ითვალისწინებს, რაც გეოგრაფიული ფაქტორისათვის ფუნდამენტური დეტერმინანტის სტატუსის „ჩამორთმევასა“ და ამასთან დაკავშირებული კორექტივების შეტანაში მდგომარეობს. ცხადია, საკითხის ასე გადაწყვეტის ვითარებაში ე. წ. კლასიკური გეოპოლიტიკური მიდგომიდან „არაფერი“ რჩება. მეტიც, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი — ასეთ ვითარებაში საერთოდ აქვს კი აზრი გეოპოლიტიკურ მიდგომაზე საუბარს? რა თქმა უნდა, თავისთავად გეოპოლიტიკური მიდგომა პანაცეა არ არის. საფუძველს მოკლებულია ის აზრიც, რომ მისი უარყოფა გამოუვალი თეორიული კრიზისის ნიშანია. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მისი ისეთი „სრულფასოვანი“ კონკურენტის გახსენება, როგორიცაა ძალთა ბალანსის თეორია. ამიტომ ზემოთ ნახსენები რევიზიის ცდა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ როგორც კლასიკური გეოპოლიტიკური ტრადიციის მოდერნიზირებისა და გადარჩენის მცდელობა. გადაჭრით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს უიმედო წამოწყება იქნებოდა, რომელიც, ჩვენი აზრით,

შეუთავსებელია თეორიული კვლევის თანამედროვე სტანდარტებთან. ამ მხრივ, ჩვენი პოზიცია საკმაოდ ჰგავს ფრანგი მკვლევრის ივა ლაკატოსის თვალსაზრისს (თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმავე მნიშვნელობით იგი შეგვეძლო მიშელ კორენმანის ან პოლ-მარი დე ლა გორსის თვალსაზრისისთვისაც შეგვედარებინა). ამიტომ აქ განვითარებული მსჯელობის ფონზე საჭიროა დაისვას საკითხი – კონკრეტულად რას ნიშნავს ჩვენთვის გეოპოლიტიკური მიდგომა? რას ითვალისწინებს იგი? ამ კითხვაზე პასუხი შემდეგ სახეს მიიღებს: გეოპოლიტიკური მიდგომა თავის თავში გულისხმობს გლობალური პოლიტიკური რეალობის ანალიზის იმ ასპექტს, რომელიც სივრცით ინდიკატორებზეა ორიენტირებული. ე. ი. სივრცე მის საზღვრებში ადამიანის ისტორიული ყოფიერების ერთ-ერთ და არა ერთადერთ კონტექსტუალურ განსაზღვრულობად წარმოგვიდგება, რომელიც დესკრიფციის არააბსოლუტური ელემენტის სახეს ატარებს. აქედან გამომდინარე, სრულიად ცხადია, რომ სხვა ინტერპრეტაციას იღებს ტრადიციული გეოპოლიტიკური ცნებები და პრინციპები, ხოლო მრავალი მათგანი ელემენტარულად კარგავს ძალას ანუ აღარ არის გათვალისწინებული ჩვენთვის მისაღები გეოპოლიტიკური მიდგომის საზღვრებში. ასე მაგალითად, თეორიულად საეჭვოდ გამოიყურება სივრცითი განსაზღვრულობის საფუძველზე დამყარებული გეოპოლიტიკური ბიპოლარიზმისა და აქტორების იმთავითვე დადგენილი, სტატიკური გეოპოლიტიკური ინტერესების შესახებ თეზისი. ამ სკეპსისის გამოთქმისას ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარვყოფთ არაკონსტრუირებული ისტორიული სიდიდეების არსებობას, რომლებიც, ასე ვთქვათ, ბუნებითი რეალიების სახით მონაწილეობენ ადამიანის ისტორიულ და, კერძოდ, პოლიტიკურ ყოფაში. მაგრამ ჯერ ერთი, თეორიულად გაუმართლებლად მიგვაჩნია მათი როლის ჰიპერბოლიზება და, გარდა ამისა, ცალსახად ვადგავართ იმ აზრს, რომ ასეთ პოზიციას სრულიადაც არ მივყავართ სივრცის, როგორც კონტექსტუალური განსაზღვრულობის, გააბსოლიტურებამდე. თუ ავიღებთ საკუთრივ გეოპოლიტიკურ ბიპოლარიზმს, რომელსაც „საპატიო“ ადგილი უჭირავს კლასიკურ გეოპოლიტიკურ დოქტრინებში, მაშინ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მიდგომის საზღვრებში, მართალია, კვლავაც რეალური ვითარებაა, მაგრამ ისეთი, რომელიც არა „წმინდა“ სივრცითად, არამედ სხვა ფაქტორებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, გეოპოლიტიკური დოქტრინებისაგან განსხვავებით, მისი სახით ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გლობალურ-ისტორიული ხდომილება წარმოგვიდგება (აქედან გამომავალი ყვე-

ლა შედეგით). სხვა სიტყვებით — ისეთი ხდომილება, რომელიც მსოფლიო საზოგადოების პოლიტიკური ისტორიის დიაქრონულ ჭრილში თავს იჩენს არა როგორც პარადიგმატული დისპოზიცია, არამედ ტემპორალურად შემოსაზღვრული დაპირისპირება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ე. წ. კლასიკური გეოპოლიტიკისათვის ნიშანდობლივ მეტაფიზიკურ განაზრებებთან. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თვალსაზრისი პრინციპულად განსხვავდება კლასიკური გეოპოლიტიკური შეხედულებებისაგან. შესაბამისად, ჩვენთვის მიუღებელია სივრცის „წმინდა“ გეოპოლიტიკური სტრატიფიკაციაც, რომელიც რედუქციონისტული მიდგომით არის ნასაზრდოები, რადგან სხვა თეორიულად საგულისხმო ნაკლოვანებებთან ერთად აისტორიულობითაც არის აღბეჭდილი. თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავისთავად სივრცის პოლიტიკურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით სტრატიფიკაციის იდეას სრულიად მისაღებ პრინციპად მივიჩნევთ. ჩვენი აზრით, უკანასკნელი არ გულისხმობს მაინცადამაინც თეორიული აქცენტების ისეთ გადანაწილებას როგორც ეს ე. წ. გეოპოლიტიკურ თეორიებშია მოცემული (რასაც მსოფლიო-ისტორიული სივრცის აისტორიულ-სტატიკურ რეგიონალიზაციამდე მივყავართ), არამედ ამისაგან ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომასაც უშვებს, რომლის არსიც შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს. კერძოდ, დავიწყოთ იქიდან, რომ ადამიანი არ არის Homo-spatio, ვისი ყოფიერებაც, უპირველეს ყოვლისა, სივრცითი რელიებითაა განსაზღვრული, არამედ ასე ვთქვათ, ისტორიული არსება, რომელიც სხვადასხვა, მათ შორის სპეციფიკურ ფაქტორთა მთელი სპექტრითაა დეტერმინირებული. ასეთ ვითარებაში კი თეორიულად უსაზრისო და გაუმართლებელია ადამიანისა და მსოფლიო-ისტორიული სივრცის კლასიკური გეოპოლიტიკური ტიპოლოგიზაციის ნებისმიერი ვერსია, რომელიც, საბოლოო ჯამში, თალასოკრატიულ და თელულოკრატიულ ტიპებზეა ორიენტირებული. მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო-ისტორიული პროცესის ჩვენეულ პანორამაში ადგილი არ რჩება ამგვარი პარადიგმატული ტიპებისათვის (არც სივრცითი და არც ანთროპოლოგიური ერთეულების დიფერენცირების აზრით), მაგრამ, ამასთან, მისი არა აბსოლუტური, არამედ რედუქციონისტული დიფერენცის უარყოფის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიდგომის საზღვრებში ერთგვარი ფუნდამენტური კორექტირების პირობით მაინც იჩენს თავს ანალოგიური კლასიფიკაცია, რომელსაც (და ამას ხაზი უნდა გაესვას) პრინციპულად განსხვავებული ზოგადთეორიული შინაარსი აქვს. უკანასკნე-

ლის სპეციფიკის მკაფიოდ დასახასიათებლად, უპირველეს ყოვლისა, მის არარედუქციონისტულ ბუნებაზე უნდა მივუთითოთ, რაც, თავის მხრივ, ისეთ დაკონკრეტებას გულისხმობს, რასაც აქ ამომწურავად ვერ შევეხებით. მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მომენტების აქცენტირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი უშვებს ტიპოლოგიურად განსხვავებული ცივილიზაციებისა და აქტორების ისტორიული ტიპების არსებობას. ამ აზრით, მისაღებია თუნდაც კლასიკური გეოპოლიტიკური მიდგომისათვის ჩვეული ტერმინოლოგიაც. ოღონდ ამ შენიშვნიდან გამომდინარე, კონცეპტუალურ-შინაარსობრივი მოდიფიკაციით, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით. აქედან გამომდინარე კი, იმავე სივრცითი ერთეულები ისტორიული კონსტრუქციების საზრისს იღებს და აღარა აქვთ კონსტანტური ბუნება.

რასაკვირველია, გეოგრაფია გარკვეულ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, მაგრამ პოლიტიკაზე, უპირველეს ყოვლისა, თვით პოლიტიკა ზემოქმედებს. ამ შემთხვევაში საჭიროა არა სუბსტანციონალისტური, არამედ ფუნქციონალური კატეგორიებით ოპერირება. ამ ორ მიდგომას შორის ილუსტრირება საკმაოდ ადვილია: ატლანტიკის ოკეანე ოდითგანვე გამოყოფდა ინგლისსა და ამერიკას, მაგრამ მისი ფუნქციონალური დატვირთვა სხვადასხვა ეპოქაში სრულიად სხვადასხვა იყო. ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომის დროს ატლანტიკა იყო სივრცე, სადაც ინგლისელებს უნდა გადაესროლათ ძალები აჯანყებული კოლონისტების წინააღმდეგ, მაგრამ პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსვლელობისას ატლანტიკა იყო სივრცე, სადაც ყოფილი კოლონისტების შთამომავლებს ძალები უნდა გადაესროლათ აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, რათა გადაერჩინათ ყოფილი მეტროპოლია, რომელსაც ოდესღაც ესოდენ წარმატებით გამოეყვნენ. ღრმა სიმბოლიზმია გენერალ პერშინგის სიტყვებში „ჩვენ მოვედით ლაფაიეტ“(პერშინგმა ეს სიტყვები მაშინ წარმოთქვა, როდესაც ამერიკული საექსპედიციო კორპუსი საფრანგეთში გადასხდა, იმ დროს, როდესაც რუსეთი ომიდან გამოვიდა). ეს სიტყვები წარმოთქმული იყო როგორც ფრანგების, ისე ინგლისელების გასამხნევებლად, ეს ორი ძალა კი, როგორც წებისმიერმა მოსწავლემ იცის, ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომში სრულიად სხვადასხვა პოზიციაზე იდგა.

ერთი სიტყვით, კლასიკური გეოპოლიტიკის მომხრეები ამტკიცებენ რომ „სად“ მთლიანად, ცალსახად და შეუქცევადად განსაზღვრავს „როდის“ და „როგორის“ კატეგორიებს. არადა რეალური პოლიტიკა ამ სამი სისტემის ელემენტების, ქვეელემენტებისა და მიმართებების

ერთობაა. ამ თვალსაზრისით, კლასიკური გეოპოლიტიკა არაფრით განსხვავდება მარქსიზმისგან, რომელსაც ყველაფერი ეკონომიკურ ინტერესზე დაჰყავს და ფროიდიზმისაგან, რომელიც ყველაფრის სათავეს ჩვენს სექსუალურ ინსტინქტებში ეძებს. გეოპოლიტიკის მიხედვით, გეოგრაფია თავისთავად პოლიტიკის ბაზისია. ამიტომ არ არსებობს განსხვავება პოლიტიკურ გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას შორის. თვით იმ დონეზეც კი, რომელზეც მარქსიზმი მიჯნავდა პოლიტეკონომიასა და ეკონომიკურ პოლიტიკას. შემთხვევითი სრულებითაც არ იყო ის, რომ გეოპოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთ მთავარ ნაშრომს „პოლიტიკური გეოგრაფია“ ერქვა.

პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლოლიტიკა ანუ სინქრონია და დიაქრონია. იმისთვის, რათა უფრო პროდუქტულად გავიაზროთ პოლიტიკური გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის ცნებების მიმართება, კარგი იქნება ლინგვისტიკის სფეროს მივმართოთ. ენა ორი გზით შეიძლება იქნეს შესწავლილი — სინქრონულითა და დიაქრონულით. პირველი გულისხმობს იმის აღწერას, თუ რა ხასიათი აქვს ამა თუ იმ ენას დროის კონკრეტულ მონაკვეთში. ასეთი კვლევა შეიძლება მთელ ენას მოიცავდეს(მაგალითად, იმას თუ როგორი იყო ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკა XIX საუკუნეში). თუმცა შეიძლება უფრო ლოკალური ამოცანებით იზღუდებოდეს, მაგალითად, როგორია XVIII საუკუნეში ბრუნებათა სისტემა. ეს არსებითი არ არის, მთავარია მიდგომა, როდესაც ჩვენ ენას თითქოს დროში ვიყენებთ და ისე აღვწერთ. დიაქრონია პირიქით, გულისხმობს იმის შესწავლას თუ როგორ ტრანსფორმირდება ენა დროში და რა ფაქტორები ახდენენ მასზე ზეგავლენას. მაგალითად, თუ სინქრონული მიდგომა გულისხმობს იმის აღწერას, თუ როგორი იყო XVIII და XIX საუკუნეების ქართული ლექსიკა(სიტყვათმარაგი), დიაქრონია ითვალისწინებს იმის შესწავლას, თუ როგორ ჩაენაცვლა ერთი მეორეს და რა გავლენა მოახდინა ენის ამგვარ ტრანსფორმაციებზე ზოგმა ფაქტმა, მაგალითად, რუსეთის მხრიდან პირველმა ანექსიამ. ჩვენთვის პოლიტიკური გეოგრაფია ნიშნავს სინქრონიას, პოლიტიკური სუბიექტების გეოგრაფიის სურათის აღწერას დროის მოცემულ მონაკვეთში, ხოლო გეოპოლიტიკის ცნება გულისხმობს პოლიტიკური ტრანსფორმაციების შესწავლას ყველა მისი პარამეტრითა და მიზეზით. გეოსტრატეგია ჩვენთვის მიდგომის იგივე წესია, რაც გეოპოლიტიკური, იმ განსხვავებით, რომ მასში აქცენტი კეთდება პოლიტიკური და სამხედრო რეალიების გადაკვეთაზე როგორც დროითი, ისე სივრცითი და ფუნქციონალური მახასიათებლების თვალსაზრისით.

გეოპოლიტიკური ბალანსის ცნება. ბალანსის განსაზღვრული ფაქტორები

საყოველთაოდ მოღებული აზრის თანახმად, ომი არის პოლიტიკის გაგრძელება არაპოლიტიკური (ძალისმიერი) საშუალებებით, რაც შეიძლება სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდეს, კერძოდ, სამხედრო ძალის უშუალო გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან მისი დემონსტრირებით. ცხადია, ეს პოლიტიკის ზოგიერთ სუბიექტს ნაკლებად ძალუძს, ზოგიერთს — უფრო მეტად. ამ „მეტობათა“ და „ნაკლებობათა“ ერთობლიობა შეადგენს იმას, რასაც გეოსტრატეგიული ბალანსი ეწოდება. სხვაგავარად, გეოსტრატეგიული ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმული სუბიექტების უნართა ერთობლიობაა სამხედრო ძალის გამოყენებით, გამოყენების მუქარით ან მისი დემონსტრირებით მიაღწიოს სასურველ პოლიტიკურ მიზანს.

დასახელებული დეფინაცია ძალაშია მაშინაც, როდესაც ამგვარ უნართა ერთობლობას მთელი დედამიწის მასშტაბით განვიხილავთ და მაშინაც, როდესაც დედამიწის ერთ-ერთ რეგიონს ვეხებით. რამდენადაც დასახელებული ბალანსის თავისებურება საერთაშორისო ცხოვრების სუბიექტების პოლიტიკური მიზნები განსაზღვრავენ, გეოსტრატეგიული ბალანსის სპეციფიკის დადგენა შეუძლებელია პოლიტიკის წინაშე დასახული მიზნების გაუთვალისწინებლად. მეტიც, გეოსტრატეგიული ბალანსის სრული სურათის შესაქმნილად სამხედრო ხასიათის პარამეტრები აუცილებლად უნდა განვიხილოთ კომპლექსურად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და სხვა მსგავს ფაქტორებთან კავშირში.

როგორც აღვნიშნეთ, გეოსტრატეგიულ ბალანსს განსაზღვრავს ის, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს ერთნაირი უნარი არა აქვს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა განსაზღვრავს ამ უნარს. ცნობილი თეორეტიკოსი ჰ. მორგენთაუ გამოყოფს რვა მუდმივას, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს ადგილს გეოსტრატეგიულ ბალანსში (და უფრო ფართოდაც, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში). ამ ფაქტორთაგან ზოგიერთი წმინდა ექსტენსიური ხასიათისაა, ე. ი. ექვემდებარება მათემატიკის ენაზე აღწერასა და გამოხატვას, სხვები კი ინტენსიური ბუნებისანი არიან და მათი მათემატიკური გამოხატვა ძალიან ძნელია, ან საერთოდ შეუძლებელია. ეს ფაქტორებია:

1. **გეოგრაფიული ფაქტორი.** გეოგრაფიის სპეციფიკა დაღს ასვამს პოლიტიკურ სისტემას და, საერთოდ, გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. როგორც ინგლისის ავიაციის მთავარი მარშალი, ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი ალნიშნავდა: „შეიძლება გაქრეს ერთი სახელმწიფო და გაჩნდეს მეორე, მაგრამ გეორგაფიული გარემო უცვლელი რჩება. დრო და სივრცე კვლავაც განსაზღვრავს სტრატეგიულ იდეებს და მათი განხორციელების საშუალებებს მიწაზე, წყალსა თუ ჰაერში. “

მაგალითად, ალპების გეოგრაფია ისეთია, რომ ძალიან ართულებს იტალიიდან შეჭრას ცენტრალურ ევროპაში, მაშინ, როდესაც იმავე გეოგრაფიული ფაქტორის გამო გაცილებით ადვილია ცენტრალური ევროპიდან იტალიაში შეღწევა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ის, რომ იტალიაზე კონტროლს მისმა ჩრდილოელმა მეზობლებმა მიაღწიეს, რამაც ძლიერ გაართულა იტალიელი ერის კონსოლიდაცია. ამავე სახის მაგალითი საქართველოს გეოგრაფიიდანაც შეიძლება მოვიყვანოთ“, კერძოდ, ლიხის ქედის არსებობა, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს ისტორიული განვითარება. ამასთან, მორგენთაუ სამართლიანად აღნიშნავს, რომ არ უნდა მოხდეს გეოგრაფიული ფაქტორის აბსოლუტიზაცია. არსებითია ის, თუ როგორაა **გამოყენებული** ეს მდებარეობა და როგორია გეოგრაფიული საცხოვრისის ათვისების წესი. ამასთან, გეოგრაფიული განლაგების მნიშვნელობამ შეიძლება სრულიად იცვალოს სახე გარკვეულ არაგეოგრაფიულ ფაქტორთა გამო. მაგალითად, გეოგრაფიული ფაქტია, რომ ევროპასა და ამერიკას ერთმანეთისაგან ატლანტის ოკეანე ყოფს, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში ამ ფაქტს სხვადასხვა გეოსტრატეგიული ინტერპრეტაცია ჰქონდა(იხ. რაც ამასთან დაკავშირებით ითქვა ზემოთ). გეოსტრატეგიული ბალანსისათვის გეოგრაფიული მდებარეობა ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორია.

2. **მოსახლეობა** – გეოსტრატეგიულ ბალანსში ხელსაყრელი პოზიციის დაკავებისათვის საჭიროა არმია. ამასთან, ომიანობის დროს არმია ბევრად აღემატება მშვიდობიანობის პერიოდში ქვეყანაში არსებულ შეიარაღებულ ძალებს. ამგვარი არმიისათვის აუცილებელია მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის მობილიზება, თუმცა, რასაკვირველია, შეუძლებელია გეოსტრატეგიული ძალა მხოლოდ მოსახლეობის რიცხოვნობაზე დავიყვანოთ (მაშინ ამერიკის წილი მსოფლიო გეოსტრატეგიულ ბალანსში ინდოეთის წილზე უფრო დაბალი იქნება, არაფერი რომ არ ვთქვით ისრაელისა და არაბული სახელმწიფოს მოსახლეობის

შეფარდებაზე), მაგრამ მოსახლეობის რიცხვი მაინც მნიშნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს წილს გეოსტრატეგიულ ბალანსში. ამასთან, მხედველობაში მისაღებია არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობა, არამედ მისი ეთნიკური და დემოგრაფიული სტრუქტურაც.

3. **სამხედრო მზაობა** განისაზღვრება შეიარაღებული ძალების რაოდენობითა და ხარისხით, სამხედრო ტექნიკის რაოდენობითა და თვისებებით, სამხედრო თეორიული აზრის განვითარების დონით, ოფიცერთა და რიგითი შემადგენლობის მომზადების ხარისხითა და სხვა მსგავსი პარამეტრებით. ამასთან, არ უნდა გადავაფასოთ სამხედრო ძალის მნიშვნელობა და არ მივიჩნიოთ თითქოს: „სამხედრო ძალა მშვიდობიანობის დროს თავისთავად წარმოადგენს პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს“ (რ. ოსგუდი). სამხედრო ძალა ყოველთვის უნდა განიხილებოდეს კონკრეტულად სხვა ფაქტორებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მორგენთაუ კატეგორიულად ილაშქრებს „მილიტარისტული“ კონცეფციის წინააღმდეგ, რომელთა თანახმად „ერის ძალა თუ აუცილებლად არა, პირველ რიგში მაინც ემყარება მის სამხედრო ძალას, გამოხატულს, უპირველეს ყოვლისა, რაოდენობრივ მაჩვენებლებში“.

4. **სასარგებლო წიაღისეული და საერთოდ ბუნებრივი რესურსები.** ის სახელმწიფოები, რომელთაც საკმაოდ გააჩნიათ ამგვარი რესურსები, არ საჭიროებენ ეროვნული ენერგიის ნაწილის გადართვას საჭირო ნედლეულის საზღვარგარეთ საძიებლად. ამიტომ ნედლეულით უზრუნველყოფილი ქვეყნები უფრო ეფექტიანად ახერხებენ თავიანთი ეროვნული მიზნების მიღწევას ომიანობის პირობებში (გავიხსენოთ იაპონიისა და გერმანიის სირთულეები ნედლეულით მომარაგებისას II მსოფლიო ომის დროს).

5. **სამრეწველო და ტექნოლოგიური პოტენციალი.** სასარგებლო წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები ვერ გახდება გეოსტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორი, თუ იგი სათანადოდ არ არის ათვისებული, არაფერი რომ არ ითქვას, სამრეწველო და ტექნოლოგიური პოტენციალის მნიშვნელობაზე შეიარაღებული ძალებისათვის.

6. **ეროვნული მორალი,** ანუ ის თუ რამდენად ენდობა მოსახლეობა ხელისუფლების პოლიტიკას და, საერთოდ, ნდობის რა ხარისხი არსებობს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

7. **ხელისუფლების ხარისხი** – ეჭვსგარეშეა, რომ დაახლოებით ერთი და იმავე პოტენციალის მქონე სახელმწიფოთაგან ერთნი უკეთესად ახერხებენ თავიანთი ინტერესების რეალიზაციას, ვიდრე სხვები. რეიგანის ადმინისტრაციის მატერიალური პოტენციალი თვისებრი-

ვად არაფრით აღემატებოდა კარტერის ადმინისტრაციის პოტენციალს. თუმცა ხელისუფლების ხარისხმა თავისი გაიტანა. თუ კარტერის დროს აშშ დამცირებული სახელმწიფო იყო, რეიგანის ეპოქაში მან „ცივ ომში“ გაიმარჯვა. ეს არ ნიშნავს, რომ გენიალურ ლიდერს ყველაფერი შეუძლია. მაგრამ იმაზე კი მიუთითებს, რომ ნებისმიერ, ობიექტურად უძლიერესი პარამეტრების მატარებელ სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გამარჯვება, როდესაც სათანადო დონის ლიდერები ჰყავს. არაა არსებითი სტალინ-ჟუკოვ-შაპოშნიკოვზეა ლაპარაკი, თუ რეიგან-ჰეიგ-უაინბერგერზე.

8. დიპლომატიის ხარისხი – გულისხმობს, რომ ეროვნული ნდობით აღჭურვილმა ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს არსებული რესურსების მობილიზება ეროვნული მიზნების მისაღწევად. ამასთან, დიპლომატიის მაღალი დონე, აპრიორი შეიცავს პრევენტულ ქმედებებს, როდესაც დიპლომატია არა მხოლოდ უბრალოდ რეაგირებს მიმდინარე პროცესებზე, არამედ წინ უსწრებს მოვლენებს, ითვლის შესაძლო კრიზისებს და შეიმუშავებს მათზე რეაგირების საშუალებებს.

ძირითადი ცნებები:

1. გეოპოლიტიკის ცნება.
2. ჰართლენდის ცნება და დედამიწის პოლიტიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურა კლასიკური გეოპოლიტიკის მიხედვით.
3. მიმართება გეოპოლიტიკასა და პოლიტიკურ გეოგრაფიას შორის. გეოპოლიტიკის ორგვარი გაგება.
4. ძალთა ბალანსის ცნება. ძალთა ბალანსის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.

კითხვები:

1. ვის ეკუთვნის ტერმინი გეოპოლიტიკა?
2. ჩამოთვალეთ გეოპოლიტიკური სკოლის ძირითადი წარმომადგენლები.
3. რა არის კლასიკური გეოპოლიტიკური სკოლის ძირითადი ნაკლოვანებები?
4. ჩამოთვალეთ ეროვნული ძალმოსილების განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრები.